398
ბ- 338

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

მზია ბაყაშვილი

# დევ-კერპები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლოგიურ გადმოცემებში

10.01.09 – ფოლკლორისტიკა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

## ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2003

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრაზე

**სამეცნიერო ხელმძღვანელი –**
**ზურაბ კიკნაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.01.09)

**ოფიციალური ოპონენტები:**

1. **თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი**
   ფილოლოგიის მეცნიერებათა
   დოქტორი, პროფესორი (10.01.09)

2. **ამირან არაბული**
   ფილოლოგიის მეცნიერებათა
   დოქტორი, პროფესორი (10.01.09)

დისერტაციის დაცვა შედგება 2004 წლის "29. X" 14⁰⁰ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P.10.10.№4) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.
მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში,
მისამართი: 0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2

ავტორეფერატი დაიგზავნა 2004 წლის "27 IX"

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი ნოდარ ტაბიძე

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა.** კეთილისა და ბოროტის, ღვთაებრივისა და დემონურის დაუსაბამო ბრძოლის მოტივი, სადაც ჯეროვან ყურადღებას დევ-კერპები იქცევენ, მრავალჯერ გაშუქებულა სამეცნიერო ლიტერატურაში და კვლავაც, ვფიქრობთ, მკვლევართა არაერთი შრომა მიეძღვნება. ჩვენ შევეცადეთ მათი ხასიათის, ზნე-ადათებისა და უნარის მეტ-ნაკლებად სრულყოფილ წარმოჩენას და იმ ხარვეზის შევსებას, რაც ბუნებრივად ახლავს ამა თუ იმ პერსონაჟის ფუნქციური ნიშან-თვისებების კვლევა-ძიებას, რომელიც მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი და რომლის სახე-სიუჟეტებს პარალელები და ანალოგები მოეპოვება სხვა ხალხთა წარმოდგენებში.

**კვლევის საგანი და მიზანი.** კვლევის მიზანია მონოგრაფიულად ქართულ ფოლკლორში კარგად ცნობილი პერსონაჟის - დევის სახის შესწავლა და გამოკვლევა იმ რწმენა-წარმოდგენების ფონზე, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლოგიურმა გადმოცემებმა შემოინახა.

კვლევის ობიექტია ქართულ ანდრეზებში, საკულტო-სასულიერო ტექსტებში, ნაქადაგრებსა და ჯვარ-ხატთა სადიდებლებში წარმოდგენილ დევთა სახეების განხილვა. შედარებითი კვლევისათვის მოხმობილია სათანადო ნიმუშები საქართველოს სხვა კუთხეთა და აგრეთვე უცხოური, სხვა ხალხის ზეპირი ტექსტებიდან.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე.** სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები და შეხედულებები ნაშრომში კრიტიკულადაა შესწავლილი. მის საფუძველზე მიღებულია კონკრეტული დასკვნები, რომლებიც ემყარება თანამედროვე მკვლევართა შეხედულებებს; დაწვრილებითაა შესწავლილი და შეფასებული ამ საკითხზე ყველა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია. ნაშრომში სისტემაში არის მოყვანილი დევ-კერპებზე არსებული თქმულება-გადმოცემები და განსაზღვრულია მათი ადგილი ქართულ მითოლოგიაში.

**ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება.** დისერტაციაში წარმოდგენილი მასალა შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ქართული ხალხური სიტყვიერებისა და მითოლოგიის სალექციო კურსში. აგრეთვე ფოლკლორის სპეცკურსებში. კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია საკურსო და სადიპლომო შრომებში, ქართული ფოლ-